# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: ლიტერ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივ ცალ-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — 8 მან.
ექვსის თვისა— — — 5 მან.
სამის თვისა— — — 3 „
ერთის თვისა— — — 1 „

პირველი მარტიდამ წლის დამლევამდინ 6 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი

## ხელის-მოწერა

გაჭირებულ ქობულეთელთათვის

სია მეექვსე

| | მან. |
|---|---|
| გიორგი ქართველიშვილისაგან | 25 |
| თამარ ქართველიშვილისაგან | 15 |
| ნინო, მელანია, ნიკო, მაშო და გიორგი ქართველიშვილებისაგან — — — | 5 |
| ა. ათაბეგოვისაგან — — — | 1 |
| ნიკ. ჯამასპაშვილისაგან— — | 1 |
| სულ— | 47 |
| ადრინდელი იყო— | 393—5 კ. |
| სულ რედაქციაში მოგროვილია | 440—5კ. |

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი სია იმ პირთა, რომელთაც ერთ ღარიბ ქართველ სტუდენტის სასარგებლოდ შეუწირავთ ფული:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უცნობი — — — — — — | 10 | „ |
| უცნობი— — — — — — | 3 | „ |
| თ. რ. წერეთელი — — — | 5 | „ |
| უცნობი — — — — — — | 6 | „ |
| უცნობი— — — — — — | 9 | „ |
| X. — — — — — — — | 5 | „ |
| პ. პამსარაკანი — — — — | „ | 20 |
| X. X. — — — — — — | 3 | „ |
| მიხ. ჯორჯაძე — — — — | 2 | „ |
| ალ. ვოქაევიჩ — — — — | „ | 50 |
| ელენე ვლადიკინისა— — — | „ | 50 |
| მ. — — — — — — — | 1 | „ |
| თანამგრძნობი — — — — | 3 | „ |
| უცნობი— — — — — — | 2 | „ |
| X. — — — — — — — | 1 | „ |
| ა. — — — — — — — | 3 | „ |
| უცნობი— — — — — — | 1 | „ |
| უცნობი— — — — — — | 1 | „ |
| უცნობი— — — — — — | 1 | „ |
| X. — — — — — — — | 1 | „ |
| ტ. — — — — — — — | 1 | „ |
| X. — — — — — — — | 2 | „ |
| დანილოვი — — — — — | 3 | „ |
| მუნთუაშვილი — — — — | 1 | „ |
| თ. გრ. ბ. — — — — — | 3 | „ |
| უცნობი — — — — — — | 3 | „ |
| ამიროვი — — — — — — | 1 | „ |
| ეკ. ამიროვისა — — — — | 1 | „ |
| დარია ბებუთოვისა — — — | 1 | „ |
| მოსო მირზოევი— — — — | 1 | „ |
| უცნობი— — — — — — | 1 | „ |
| უცნობი— — — — — — | 3 | „ |
| ბორ. არღუთინსკი-დოლგორუკი- | 5 | „ |
| სულ — | 84 | 20 |

# საქართველო

## დღიური

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ გუშინდელის დღიდამ, ე. ი. 20 მარტიდამ, უბრალო წიგნის გაგზავნა ფოჩტით ღირს შვიდ კაპეიკად, და არა რვად, როგორც დღემდის იყო; ღია წიგნის გაგზავნა სამ კაპეიკად, და არა შაურად; ქალაქის ფოჩტითაც გასაგზავნ წიგნს აგრეთვე სამ-კაპეიკიანი მარკა უნდა დაეკრას.

*** ჩვენ შევიტყეთ, ვითომც 12 მარტს ტვერში მიცვალებულს ადრინდელ საქართველოს ეგზარხოსს ევსევის ანდერძი დაუგდია, რომ იმის გვამი კავკასიაში წაიღონ და იქ დაასაფლაონ ქართლში ქვათახევის მონასტერში.

*** პეტერბურღის გაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს: „ვაქლილი ომიანობის დროს ოსმალებისაგან აოხრებულმა ქალაქმა სოხუმმა გამოგზავნა პეტერბურღში ორი დეპუტატი უფ. გაბრიელ მღებროვი და გიორგი პალაფატისი, რომელთაც მინდობილი აქვთ, უმაღლესს მთავრობას სთხოვონ დახმარება ამ ქალაქის ხელ-ახლად გაშენებაში. დეპუტატები თხოულობენ ყველა ზარალისათვის, რომელიც სოხუმელებს მიეცათ მტრისაგან, ორ მილიონ მანეთს. რომ რადგან შესაძლებელიაო, მაგრამ, ფულის მიცემა მთავრობას ამ ჟამად გაუჭირდეს, ამის გამო ნება მოგვეცესო, რომ ეს ორი მილიონი სახელმწიფო ბანკიდამ ანუ კავკასიის პრიკაზიდამ ვისესხოთ უგიროთ 26 წლის ვადითო და იმ პირობითო, რომ პირველი ხუთი წლის განმავალობაში სარგებელი არ გადაგვხდესო და მეექვსე წელს კი სარგებელს მივსცემთო, მხოლოთ ამ წლიდამვე მთავრობამ დაგვიწყოს მოცემა იმ ზარალისა, რომელიც მოგვეცა ომის გამოო.“

ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ სოხუმის დეპუტატები ყოფილან ფინანსის მინისტრთან; მაგრამ მთავრობას ამათთვის ჯერ არავითარი გარდაწყვეტილი პასუხი არ გამოუცხადებიაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქობულეთი, 14 მარტს. ჩემო ძიავ გაზეთის დამბეჭდავო! ამა მარტის 8 რიცხვსა უფ. ჩვენი მაზრის ნაჩალნიკი იყო დაბარებული ქ. ბათუმში მისაღებლათ 4,000 მანეთისა, გადმოცემულის მმართებლობიდან ჩვენთვის დასარიგებლათ და ას-ოცი მანეთიც რუსეთიდგან მოსული იყო, მადლიან კაცებიდგან შემოწირული.

ეს მიიღო უფ. სამს. ლორთქიფანიძემ და მოიტანა ქობულეთში და დაგვიბარა ყველანი და გამოგვიცხადა, რომ თვითეულს კომლს მოგეცემათ 50 კოპეიკი, ხოლოდ იმ პირობითაო, რომ თითო ფუთი სიმინდი იყიდოთო ამ ფულითაო...

ძრიელ გვიკვირს, რომ რა საჭირო არის მისი განკარგულება, უთუოთ სიმინდი ვიყიდოთ. ჯერ შესაძლებელი არ არის ფუთი სიმინდის ყიდვა 50 კაპეიკათა და მეორეთ ეს აღნიშნული 4,120 მანეთი უნდა გაეყო მცხოვრებლების რიცხვზედ და რაც თვითეულს შეხვდებოდა ის უნდა დაერიგებინა. დანარჩენი ფული სად წავიდა, ვის დაურიგეს? ამისათვის კარგი იქნება, ჩემო ძიავ დამბეჭდაო, რომ კარგათ გამინჯავდენ ამ საქმეს და შეიტყობდენ—თუ ვის რამდენი მიეცა და რა დარჩა...

გვესმის კიდევ, რომ ჩვენს მოძმეებს ჩვენთვის პატივი უციათ და შემოუწირავთ ჩვენთვის, როგორც თქვენი გაზეთა ამბობს; ამისათვის დიდი მადლობელნი ვიქნებით, გვიშუამდგომელებდეთ თ. გრიგოლ ბატონისშვილთან და მან დაგვირიგოს დანარჩენი ფული; ჩვენ მას ყოველივე ვენდობით და მადლობელნი ვართ მისი, რომ იცის ჩვენი ყოველი გარემოება.

ამასთანავე, ჩემო ბატონო, ჩვენს ახლო გახლავთ ერთი დიდი ტყე, რომელსაც ვეძახოდით „სახვანთქრო ტყეს“. ამ ტყეს სიგძე აქვს 12,000 ოთხკუთხი საჟენი და შიგ ძვირფასი ხეები იყო აქამდინ; მაგრამ ეხლა იგრე ალაოხრეს და გადასჭრეს ოზურგეთის უეზდის მცხოვრებმა, რომ მეოთხედი ფასათაც აღარა ღირს ის ტყე. თუმცა გრიგოლ-ბეგმა ბატონიშვილმა კი მოსწერა ჩვენს ნაჩალნიკს, რომ, თუ საჭიროთ დაინახო, ახლობელ მცხოვრებლებს თათრებს მიეცი ნებაო ხეების მოჭრისა, ხოლოდ ბილეთით და უფასოთო; მაგრამ ეს ჩვენი ნაჩალნიკი იმის მესედს ჩვენ არ გვაძლევს, რასაც სხვებზედ ჰყიდის; მაგრამ არ ვიცით ეს ფულები სად მიდის, სახელმწიფოთ არ მიდის, ნამდვილია, და თუ მარტო ჩვენს ნაჩალნიკის ჯიბეში მიდის, კიდეც გამსებულა მისი ჯიბე...

აზიზ მანაფ-ოღლი

---

## მარტვილის სასულიერო სასწავლებელი

თვითონ სასწავლებელი იყო და არის შემდეგს შევიწროებაში:

არავინ არ იცოდა და არ იცის, არავისა აქვს საქმე—არის ეს სასწავლებელი სადმე თუ არა, აკეთებს რამეს თუ არა. უკანასკნელი მელი რა არის, ისიც უნდა ცხენით ქუთაისიდამ ეზიდოს, თორემ იძულებული იქმნება ფუთში ორი მანეთის მაგივრათ, გირვანქაში აბაზი ე. ი. ყუთში რვა მანეთი აძლიოს. წიგნის ყდის გადაკვრა მოუნდა—წადი ქუთაისში; ქაღალდის გაგზავნა მოუნდა—გზავნე ცხენოსანი კაცი; გაგიტყდა შუა ზამთარში ფანჯრის შუშა, იყავ მაგრე და გაცივდი სანამ ხონელი ჭინჭარაძე ინებებს, შემდეგ დიდის ხვეწნისა, მობძანებას და ჩაგისვამს თითო შუშას ოთხ აბაზათ; ან თუ არა გააკარ ქაღალდი!...

1874 წლამდე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს არ გამოუზდია სემინარიაში ანუ სხვა სასწავლებელში არც ერთი ბოვშვი და ეხლაც, შემდეგ ხელახლათ, მის მარტვილში გადმოტანისა არ აქვს იმედი.

1873 წელს სასწავლებლის სახლი დაიწვა და რადგან მარტვილში სხვა სახლიც არ იშოვებოდა, სამღვდელოების კრებამ გადაიტანა სასწავლებელი დროებით ქ. ქუთაისს. თუმცა სასწავლებელი დროებით იყო გადატანილი, თუმცა ქუთაისში აღარა გრძნობდა მასწავლებლების დაკლებას, ცხოვრება შეგირდების ცოტად შეკეთდა და ამ დროს სასწავლებელმა გამოზარდა საშუალო სასწავლებელში რამდენიმე ყმაწვილი, ზოგნი რომელთაგანაც უმაღლესს სასწავლებლებშიაც წავიდნენ, მარამ ქუთაისში გადატანით სამღვდელოების კრება მაინც და მაინც ძრიელ შესცდა.

თუ აქამომდე სასწავლებელი უჭირებდა საქმეს ყმაწვილების მამებს თავის მოშორებით, უგზოობით, ეხლა სრულებით კიდესაც გადავიდა და უარესს მდგომიარებაში ჩააგდო ისინი. ეს პირველი. მეორეთ, ქუთაისს და საზოგადოთ იმერეთს აქვს გიმნაზია, პროგიმნაზია, სასულიერო სასწავლებელი, კერძო პანსიონები; სამეგრელოს და აბხაზეთს ჰქონდათ ეს ერთი საბრალო ოთხი კლასი, სადაც, მართალია ცუდათ, მარამ მაინც როგორც იყო სწავლობდნენ ცოტ-ცოტას. ეხლა კი ესეც წაართვეს. ეს ულმერთობა იყო. ამისთვის სამღვდელოება მოიქცა ძალიანაც კარგათ და სინიდისიანათ, როდესაც 1876 წელში აღძრა კითხვა, თუ გადაიტანონ სასწავლებელი ისევ სამეგრელოში. მაგრამ როდესაც იყო სჯა ალაგზე, თუ სად გადიტანონ, სამღვდელოებამ ვერ მოისაზრა, მიჰყვა ცრუ სიტყვებს სხვა-და-სხვა პირთა, რომლებისათვისაც თავისი თავი არის დედა-ქვა ცხოვრებისათვის და რომელთაც საზოგადო სარგებლობა, მოქმედობა არა პიროვნული, საყოველთაო კეთილი არ შეუძლიანთ გაიგონ. მართალია, სამღვდელოებისთვის მისატევებელი საბუთი ის იყო, რომ წამოეღოთ სასწავლებელი ქუთაისიდამ სადაც უნდა ყოფილიყო სამეგრელოში, მარამ როცა საქმე შეეხება საბოლოო, საშვილიშვილო საქმეს, გაფთხილებული უნდა ყოფილიყვნენ, არ უნდა აჰყოლიყვნენ სიცრუვეს და ტრაბახობას.

მომეტებული ნაწილი სამღვდელოებისა ეხლა ცხადათა ჰხედავს თავის შეცდომილებასა; მარამ ზოგნი კი, რომელთაც ჰყავთ ათ-ათი შეგირდი, რომლებიდამაც სარგებლობენ, დღესაც ჰრევენ ხალხს...

გადმოიტანეს სასწავლებელი ისევ მარტვილს და რადგანაც აქ ისევ სახლი არ იყო, მიანდეს თავიანთ ამშენებელს გაშენება დროებითი სახლისა. იმანაც ააშენა; მაგრამ რა და როგორი? მოლობა ფიცრით გძელი ალაგი ასე, რომ ფიცარსა და ფიცარს შუა ხელი გაიყოფებოდა, გაჰყო ეს ფიცრის ჩარდახი რვა, ვითომც, ოთახათ იმისთანავე ფიცრებით, გადაახურა ჭერი და მზათ არის. არხიტექტორმა გასინჯა ეს სახლი და აქტიც შეადგინა, რომ ის სრულებით არ ვარგაო. როგორი უსინიდისოთ, ყალბათ, არის აშენებული ეს სახლი სჩანს იქიდამ, რომ თუმცა იგი დგას სამი წელიწადი, მარამ მის შეკეთებაზე დახარჯულა ამ ხანში 700 მანეთამდე და მაინც შარშან 17 დეკემბერს თოვლის გამო ჭერი რამდენსამე ოთახში ისე დაძაბუნდა, რომ ორს ოთახში ის ჩამოეშვა და სასწავლებელის სამმართველო იძულებული იყო შეეწვიტა დროებით, სწავლა. ბუხრებში ცეცხლის ანთება არ შეიძლებოდა და ეხლაც, თუმცა იგინი შეაკეთეს, ზოგში მაინც შეუძლებელია, რადგანაც იქიდამ კვამლი უკან გამოდის. კარებ ფანჯრების ჩარჩოები ისე არიან მიყვანილნი, რომ იმათ შუა თითების და ხელების გაყოფა შეიძლება; მრთლად კედლები ზანზარებენ და სრულებით ქანობენ თუ კი ასტყდა ცოტაოდენი ქარი. რასაც კი ან მოსწავლე ან მასწავლებელი ამბობს და აკეთებს ერთს ოთახში, ისმის სრულებით კარგათ და გარკვევით მეორე ოთახებში, ასე რომ შეერთებული ყველა ოთახებიდამ ხმა გაკვეთილის დროს ქუჩაში ისმის...

(გაგრძელება)

---

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი.

ადრიანოპოლიდამ იწერებიან, რომ როცა აღმოსავლეთ რუმელიაში დაყენებული რუსის ჯარი თავის სარდლით ღენ. სკობელევით დაბრუნებულა უკან, ამას გამოჰყოლია თან 20,000 ოჯახი ბოლგარიელებისა, რომელნიც განთავისუფლებულს ბოლგარიაში მოდიან თურმე დასასახლებლად.

ოსმალეთის ხელში დარჩენილს ბოლგარიაში დიდი მღელვარება არისო ხალხისა: ყველას ჰსურსო, რომ ეს ნაწილიც ბოლგარიისა განთავისუფლებული იქნეს ოსმალეთისაგან და ჩრდილოეთ ბოლგარიის სამთავროსთან შეუერთონ. ზოგიერთი სახელმწიფოები ურჩევენ ოსმალეთს, რომ აღმოსავლეთ რუმელიის გამგეობა (ღენერალ - ღუბერნატორის თანამდებობა) ბოლგარიის მომავალ მთავარს მიანდოს.

---

## რუსეთი

ტელეგრამმამ გვაცნობა ამას წინათ, რომ ვიღაც ცხენოსან კაცს განეზრახა მოკვლა შეფ-ჟანდარმის ღენ. დრენტელნისა. ამ საგნის თაობაზე აი რას იწერებიან ახლა პეტერბურგის გაზეთებში:

„13 მარტს ნაშუადღევის პირველ საათზე როდესაც ღენ. დრენტელნი კარეტით მოდიოდა მინისტრების კომიტეტის სხდომაზე, საზაფხულო ბაღთან იმის კარეტას მოეწია ერთი ვიღაც კარგათ ჩაცმული ცხენოსანი კაცი. ამ ადგილას იმ დროს ხალხი ბლომათ დადიოდა. ცხენოსანი ჯერ ცოტა ხანს უკან მისდევდა კარეტას, მერე უეცრად გაუსწორდა იმას. ამ დროს კუჩერმა გაიგონა რევოლვერის ხმა და კარეტის შუშების ჩამტვრევისა. რევოლვერის ხმაზე ცხენი ეტყობოდა დაფთხა და მოიტაცა კაცი; მაგრამ იმან მოსწია ლაგამი, შეაჩერა ცხენი და როცა კარეტას გაუსწორდა, ერთხელ კიდევ ესროლა რევოლვერი კა-

რეტაში და შემდეგ რაც შეიძლებოდა გააქანა ცხენი. ქუჩერმა მხოლოთ მაშინ გაიგო საქმე, გამოედევნა ცხენოსანს და თან ჰყვიროდა: „დაიჭი! დაიჭი!“ ცხენოსანი ხან ერთს ქუჩაში უხვევდა და ხან მეორეში. ბოლოს ერთს ქუჩაში ნახეს პოლიციის სალდათი, რომელსაც ეჭირა ხელში ამ კაცის ცხენი; ცხენი საშინლად დაღალული იყო, ცხვირიდამ სისხლი მიდიოდა. ამ სალდათმა სთქვა, რომ ვიღაც კაცი გადმოხტა აქ ამ ცხენიდამაო, ხელში მომცაო და თვითონ კი სანაში ჩაჯდა და საჩქაროთ წავიდაო.

„ლენ. დრენტელნმა და იმის კუჩერმა შენიშნეს, რომ ის კაცი ახალხაზდა შავგრემანი ვიღაც ყოფილა; სუფთად ჩაცმული. სხვებს დაუნახავთ, რომ ჩამჯდარა თუ არა ის კაცი სანაში, იმ წამსვე სხვა ქუდი დაუხურავს.

„ამის მეტი ამ შემთხვევის თაობაზე პოლიციას ჯერ არა შეუტყვია-რა.“

ზეგ შინდელის ტელეგრამიდამ შეიტყობით, რომ დამნაშავე ჯერ კიდევ ვერ მოუნახავთ.

— პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ მოკლე ხანში სპარსეთის შახის მემკვიდრეს მიელიან პეტერბურღში

— მოგეხსენებათ, რომ რუსის ჯარში ნამდვილი სამსახურის ვადა სალდათისათვის ექვსი წლიწადია დადებული. ახლა ამბობენ, რომ ეს ვადა ოთხ წლათ უნდა გახადონო.

# სამართალი

## ურიების საქმე

ქუთაისის ოლქის სასამართლოში

სხდომა საღამოს. 12 აპრილს.

**კუპერნიკის სიტყვა.** ამ ერთის წლის წინათ სოფ. პერევისაში გლეხს იოსებ მოდებაძეს უბედურება დაემართა: იმას დაეკარგა ქალი. არავითარ უჩვეულებრივო მოვლენას არ შეადგენს ეს გარემოება: ყველგან იხოცება ბავშვები, ხშირად კვდებიან ნორჩი სულდგმულები. სამწუხაროდ მხოლოთ ის უნდა მივაჩნდეს, რომ ჩვენში გლეხი ხალხი ძროხას და ცხენს უფრო მომეტებულ ყურადღებას აქცევს, ვინემ უსუსურ ბავშვს.

„სარრა მოდებაძის დაკარგვა და სიკვდილი კი ერთი რაღაც მძიმე საქმე შეიქნა. მიზეზი ამისი იყო გამოძიება. ეს გამოძიება თავიდამვე შემცდარს გზაზე დადგა: იმან არ მიაქცია ყურადღება— თუ რისაგან, რა მიზეზით მოკვდა ბავშვი. აქედამ წარმოსდგა ის, რომ ახლა ცხრა ადამიანი წვალობს და ხუთი ხმათგანი რამდენიმე თვეა ტყუილ-უბრალოდ ლპებიან საპყრობილეში.

„მაგრამ ამ საქმის დაწყებაში არც სარრას მამა და არც დედა არ არიან დამნაშავენი; აქ სხვა ვიღაც არის საქმის წარმართველი და ჭახრაკის დამტრიალებელი...

უფ. კუპერნიკი იმეორებს საქმის გარემოებას და თითო-თითოეულად დაარღვევს ჩვენებას იმ მოწმებისას, რომელთაც ურიების წინაღმდეგ უჩვენეს, რომელთაც ვითომ გაიგონეს ურიების ხურჯინის თვლიდამ ბავშვის ყვირილისა და ტირილის ხმა. განსაკუთრებული ყურადღება უფ. კუპერნიკმა მიაქცია იმ გარემოებას, რომ, თუმცა, როგორც თვითონ ამტკიცებენო, დიმ. წერეთელმა, გიორგი მოდებაძემ, საჩხერის ქალებმა და სხვებმა გაიგონესო ბავშვის ხმა, როდესაც ურიებმა ჩამოიარესო, მაგრამ ეს ამბავი მხოლოთ ორი-სამი კვირის შემდეგ გამოუცხადეს იმათ მთავრობასო. თუ მართლა გაეგონათ, ამდენიხანი განა არ გაამჟღავნებდნენო, მთელს ქვეყანას არ შეატყობინებდნენო?! შემდეგ უფ. კუპერნიკმა ასე განაგრძო თავის სიტყვა:

„მართალია, ბრალდებითს აქტში არაფერი არ არის მოხსენებული იმაზედ, რომ ურიებმა სისხლისათვის მოიტაცეს სარრა მოდებაძისაო; იქ არაფერი არ არის აგრეთვე თქმული იმაზედ, რომ საზოგადოთ ურიებს ქრისტიაანის სისხლი ეჭირებაო; მაგრამ ეს გარემოება ცხადათ გამოსჭვირს მთელ ამ საქმიდამ, ცხადათ მიაჩნია ყველას, რომ თუ მართლა ურიებმა სარრა მოდებაძისა მოიტაცეს, მოიტაცეს მხოლოთ იმ განზრახვით, რომ იმის სისხლი იშოვნონ. ამის გამო, საჭიროდ ვრაცხ ამ საგანზედ ვილაპარაკო:

„ქრისტიანობაში დიდი ხნიდამ გავრცელებულია ის აზრი, რომ ურიებს ქრისტიანის სისხლი ეჭირებათო. ქრისტეს შემდეგ პირველ საუკუნოებში ჯერ ურიებში იყო გავრცელებული რწმუნება, რომ ქრისტიანები ურიის ბავშვს აწვალებენო; შემდეგ ეს ცრუ-მორწმუნეობა თივის-თავად გადავარდა. მეცამეტე საუკუნოებში პირველად გავრცელდა ქრისტიანებში აზრი, რომ ურიები ისე ვერ სჭამენ პურს, თუ ის ქრისტიანის სისხლით არ არის შეზავებულიო. მას შემდეგ ეს ცრუ-მორწმუნოება დღემდინაც ჰსუფევს ზოგიერთს ხალხებში და განსაკუთრებით რუსეთში და კავკაზში. ევროპის მომეტებულ ნაწილ ხალხებს არავითარი ამისთანა ამბავი არა სჯერათ და იქ ამისთანა რამე არც მომხდარა.

„ამ უკანასკნელი საუკუნის განმავალობაში რუსეთში ორჯერ იყო ამ საგანზე პროცესსი: ერთი 1817 წელს და მეორე 1847 წელს სარატოვის საქმე. მაგრამ ორივეჯერ დარწმუნდნენ, რომ ურიებს არც მოუტაცნიათ და არც უწვალებიან ქრისტიანის ბავში.

„რუსულს ენაზე ორი წიგნია ამ საგანზედ დაწერილი: ერთი ლიუტესტანსკისა, იმ ლიუტესტანსკისა, რომელიც პირველად იყო ებრაელების რაბბინი, მერე კათოლიკეთ მოინათლა და პატერად იყო, შემდეგ მართლმადიდებლობა მიიღო, იერო მონახათ ეკურთხა და ბოლოს გაიპარსა და ერის კაცად გახდა. მეორე წიგნი ამავე საგანზე ეკუთვნის პეტერბურღის სასულიერო აკადემიის პროფესორს უფ. ხვოლსონს, რომელიც მეცნიერებში გამოჩენილია — ხანგრძლივ შესწავლითა და ებრაელების ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნით.

„უფ. ლიუტესტანსკის 135 შემთხვევა მოჰყავს იმის დასამტკიცებელ,ად რომ ურიებს ქრისტიანის სისხლი ეჭირებათო. მაგრამ საკმაოა ერთი თვალის გადავლება ამ წიგნისა, რომ დარწმუნდეთ, რომ ეს ფაქტები სულ მოგონილი და უმნიშვნელო ფაქტებია, რომ იმის დამწერი უნდა იყოს დიდი მატყუარა და შარლატანი კაცი.“

უფ. კუპერნიკმა ამოიკითხა აქ ლიუტენსტანსკის წიგნიდამ რამდენიმე ადგილი, რომლითაც ყველა დარწმუნდა, მართლაც, იმაში, რომ იმის წიგნში მოყვანილი ფაქტები არც ერთი ნამდვილი ფაქტი არ უნდა იყოს.

„არც ერთს ებრაულს წიგნში, არც ერთს ხეირიანს ქრისტიანისაგან დაწერილს წიგნში არ არის მოხსენებული, რომ ებრაელებს ვითომც შურის-ძიების გამო თავიანთ პასექისათვის ეჭირებოდესთ ქრისტიანის სისხლი. ამიტომაც ყველა ცოტაც არის განათლებული კაცი დარწმუნებულია ახლა იმაში, რომ ეს ცრუ-მორწმუნეობა ისეთივე ცრუ-მორწმუნეობაა, როგორც, მაგალითად, ზოგიერთებს ჰსწამთ, ვითომც დედამიწაზე კუდიანები, ქაჯები და სხვა ამისთანაები არსებობენო.“

უფ. კუპერნიკმა შემდეგის უკანასკნელის სიტყვით მიმართა მოსამართლეებს:

„როდესაც ნაპოლეონ პირველს ეგვიპტეში ჰყავდა თავის მხედრობა, ამ მხედრობის გასამხნევებლად, იმან მიუთითა პირამიდებს და წარმოსთქვა არმიის წინაშე შემდეგი სიტყვები:—ამ პირამიდების წვერიდამ ორმოცი საუკუნე შესცქერის თქვენს მოქმედებას!“ მე არა ვარ, უფ. მოსამართლენო, ნაპოლეონ პირველი, მაგრამ იმასაც მეც ვიტყვი: ორმოც მილიონზე მეტი ხალხი შემოსჩერებია ამ ჟამად თქვენს გარდაწყვეტილებას!...“

(დასასრული შემდეგ №-ში)

# განცხადებანი

## პეტერბურღელი მკერვალი გერმან

ზანოვის ქუჩაზე, იონესიანის სახლი.

პატივი მაქვს ვაცნობო თფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვიღებ ყოველ გვარ ზაკაზს, ჩემის საქონლითვე ვკერავ სამხედრო და სამოქალაქო ტანისამოსს; მე თვითონ ვადევნებ თვალ-ყურს, რომ ყველაფერი რიგიანათ იყვეს შეკერილი.

ამას გარდა ჩემს მაღაზიაში არის დამზადებული კაცებისა და ბავშის ტანისამოსი.

ყველა გვარ ზაკაზს იაფ ფასად და რიგიანად ვასრულებ.

(5—2)

ფოთის მეორე გილდიის ვაჭარს, **ხახუ დავითის ძე თოფურიძეს**, პატივი აქვს გამოაცხადოს, რომ მისგან წარმოებული აღრინდელი **საკამისიონერო კანტორა** არ ყოფილა მოქმედებაში ომიანობის გამო 1876 წლიდან, ვიდრე ამა მდგომარე წლამდინ. ამ წელში ეს **საკამისიონერო კანტორა ისევ გაიხსნა ფოთში** ივანოვის ქუჩაზე, ალანიას სახლებში.

აცნობებს ამაზედ როგორც პირველი დროების მუშტრებს, ეგრეთვე სხვა ვაჭრებსაც. კანტორა ღებულობს თავის თავზე ყოველ ნაირი საქონლების მიღებას და გაგზავნას ყოველგან რუსეთის და გრანიცისა, მასთან გრანიცის საქონლების დამოქნაში დაბაჟვას, ეგრეთვე ყველა ნაირი საქონლების გამოწერას რუსეთიდამ და გრანიციდან.

ამას გარდა დროებით ჩამოსულთ ფოთში ვაჭრებს აძლევს თავის კანტორაში ბინას.

(5—1)

---

გამოვიდა და ისყიდება

## „ბუტიაობა“

ვოდევილი

**აკაკი წერეთლისა**

**ისყიდება**: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

**ფასი—ერთი აბაზი.**

---

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღზიაში **ისყიდება**

## „ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი გრ. ა. წინამძღვაროვის-მიერ.

**ფასი—ექვსი შაური**

---

# ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტის გადაწყვეტილებით მოწვეულია ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთ **ჩვეულებრივი საზოგადო კრება 25-ის აპრილის** დილის 11 საათზედ ქ. ქუთაისს ბანკის სადგომზე, თ. კ. ნიჟარაძის სახლში.

**განსახილველი საგნები:**

1. წარსული წლის ანგარიში.
2. ამორჩევა ორთა წევრთა ზედამმხედველის კომიტეტისა.
3. ამორჩევა ერთის დირექტორისა.
4. მოხსენება ბანკის დამაფუძნებელთ სიის შედგენაზედ.
5. ხაზინაში ფულის შენახვისათვის დაჯილდოება იქ მოსამსახურე პირთა.
6. ბანკის წესდების რაოდენთამე მუხლთა შეცვლა და შევსება.
7. სახლის აშენება სადგომად ბანკისა და ქალაქის მმართველობისა.
8. მოსამზადებელის კლასის დაფუძნება.
9. ანგარიში ფულებისა, რომელიც დანიშნული იყო შესაწევნელად მოსწავლეთა.
10. რა დანიშნულება მიეცეს ბანკის სარგებლის იმ ნაწილს, რომელიც საზოგადო საჭიროებისათვის არის გადადებული.
11. ბანკის ხარჯების შეცვლაზედ.
12. ამორჩევა ბანკის გამგეობის თავ-მჯდომარისა, ნაცვლად გარდაცვალებულის ბესსარიონ ლევანის ძის ლოლაშერიძისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა **ასათიანი.**

(3—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება

საქართველოს

## კალენდარი

**ფასი 20 კაპეიკი**

შედგენილი **ი. ლიაძისაგან** და გამოცემული **ექ. ხელაძისაგან.**

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, ბრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

**ისყიდება** უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

ლექსები

## „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, გ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტავას დუქანში.

**ფასი** ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კოპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კოპეიკათ.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედიი . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

**ტელეგრაფი**

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მან | კაპ. |
|---|---|---|
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

**მაზანდა**

| თფილისი, 21 მარტს. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 20 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 40 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 50 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 7 | 20 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი და გარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ი:** ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** ვერმიშვი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 21 Марта 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.